ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7168622

ნომერი: AR11050816

თარიღი : 31.07.2024

გაცემის თარიღი : 07.08.2024

გაცნობის თარიღი : 15.08.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მირიან მეფის ქუჩა, N 28;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რიმა ლომაური პ/ნ 01011018771
- ქ. თბილისი, რიონჰესის 6ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 31 ივლისს №AR11050816 განცხადებით მომართა რიმა ლომაურმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 03 აპრილის №6965992 და 2024 წლის 10 აპრილის №6974256 ბრძანებებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 03 აპრილის №6965992 ბრძანებით №01.72.14.035.665 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა სავაჭრო ცენტრის არქიტექტურული პროექტი. სამსახურის 2024 წლის 10 აპრილის №6974256 ბრძანებით ზემოაღნიშნული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 03 აპრილის №6965992 და 2024 წლის 10 აპრილის №6974256 ბრძანებებში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და ბრძანებაში მესაკუთრის ველში მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის შპს "ფრესკო ვესტ ჯორჯიას" დაფიქსირება.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 03 აპრილის №6965992 და 2024 წლის 10 აპრილის №6974256 ბრძანებების გამოცემის დროისთვის მესაკუთრედ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (რეგისტრაციის №882024307562, მომზადების თარიღი: 21/03/2024 წ.) №01.72.14.035.665 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენდა კობა ბურნაძე (პ/ნ: 01030008738) და შპს „ვესთ ენერჯი დეველოპმენტი“ (ს/ნ: 405659844). ბრძანების “მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი-ს მესაკუთრეების ველში” ინფორმაცია ისახება ავტომატურად, განცხადების რეგისტრაციისას რუკაზე საპროექტო მიწის ნაკვეთის მონიშვნის დროს, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების შესაბამისად. თუმცა ვინაიდან, ბრძანების გამოცემის მომენტისათვის მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ კვლავ იგივე სუბიექტები იყვნენ რეგისტრირებული, სამსახურის 2024 წლის 03 აპრილის №6965992 და 2024 წლის 10 აპრილის №6974256 ბრძანებებში ტექნიკური შეცდომა ბრძანების “მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი-ს მესაკუთრეების ველში” მესაკუთრეთა მითითების ნაწილში არ ფიქსირდება.
ამასთან განგიმარტავთ, რომ სამსახურის 2024 წლის 10 აპრილის №6974256 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია მიწის ნაკვეთის ამჟამინდელი მესაკუთრე შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯია“ (ს/ნ: 404504158).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.